

## განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“  
ცვლილების შეტანის შესახებ“  
რეგლამენტის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

#### ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს იმ პარლამენტის წევრთა საბინაო პირობებით უზრუნველყოფის ახლებური სამართლებრივი რეგლამენტაცია, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართობი თბილისში და საჭიროებენ საბინაო პირობებით უზრუნველყოფას, ასევე პარლამენტის რეგლამენტში პარლამენტის წევრთათვის ბინის ქირავნობისათვის თანხის გამოყოფის კონკრეტული, სამართლიანი პროცედურების დადგენა, იმგავარი პროცედურის შემუშავება, რომლითაც მოხდება ამგვარი საჭიროების მქონე პარლამენტის წევრთა საბინაო პირობებით უზრუნველყოფა არსებული შესაძლებლობისა და განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

#### ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიზანია პარლამენტის ბიუჯეტის მეშვეობით, არსებული შესაძლებლობა და განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, იმ პარლამენტის წევრთათვის საბინაო პირობებით უზრუნველყოფის მექანიზმების დადგენა და შესაბამისი, სამართლიანი პროცედურების ჩამოყალიბება, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართობი თბილისში და საჭიროებენ საბინაო პირობებით უზრუნველყოფას.

#### ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

რეგლამენტის პროექტის თანახმად, ცვლილება შედის პარლამენტის რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში. აღნიშნული ცვლილების ტანახმად, საქართველოს პარლამენტი თავისი ბიუჯეტის მეშვეობით, არსებული შესაძლებლობისა და განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში განახორციელებს იმ პარლამენტის წევრის საბინაო პირობებით უზრუნველყოფას, რომელსაც არ გააჩნია თბილისში საცხოვრებელი ფართობი.

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ პროცედურებს. კერძოდ: აღნიშნულის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომლის დავალებით საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი შეისწავლის განცხადების საფუძვლიანობას, განმცხადებლის ქონებრივ დეკლარაციას და ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. ბიუროს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პარლამენტის წევრი საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტს წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას ბინის ქირავნობის შესახებ. ბინის ქირავნობისათვის გამოყოფილი თანხა ირიცხება ბინის ქირავნობის ხელშეკრულებაში მითითებულ გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე.

რეგლამენტის პროექტის თანახმად, თუ პარლამენტის წევრს ქონებრივ დეკლარაციაში ქ. თბილისში საცხოვრებელი ბინის დაფიქსირების შემთხვევაში, მიუხედავად ბინის მდგომარეობისა, ბინის ქირის თანხა არ გაიცემა.

ამავე დროს, რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს პარლამენტის რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან იმ ნორმის ამოღებას, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, არსებული შესაძლებლობისა და განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მას შეიძლება მიეცეს ბინის დასაქირავებლად გამოყოფილი მთლიანი თანხა ან კრედიტი კანონით (რეგლამენტით) და შესაბამისი დებულებით დადგენილი წესით. პროექტის თანახმად, რეგლამენტიდან ასევე ამოღის ნორმა, რომლითაც გამონაკლის შემთხვევაში, ბიუროს გადაწყვეტილებით, პარლამენტის წევრს შეუძლია მიიღოს არა უმეტეს 6 თვის ხელფასი.

**დ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. კანონპროექტით ხდება პარლამენტის წევრის საბინაო პირობებით უზრუნველყოფის პროცედურული რეგლამენტაცია.

**ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს პარლამენტის წევრთათვის საბინაო პირობებით უზრუნველყოფის წესს, რომლის თანახმად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი დასკვნის საფუძველზე პარლამენტის ბიურო იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ბიუროს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პარლამენტის წევრი საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტს წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას ბინის ქირავნობის ხელშეკრულებაში მითითებულ გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე.

**ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

აღნიშნული პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

**გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**

არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

**გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

არ არის მიმართებაში ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

**გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

რეგლამენტის პროექტის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო არგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი შეფასებები არ არსებობს

**დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:**

საქართველოს პარლამენტის ელდარ კვერნაძე.

**დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პარლამენტის ელდარ კვერნაძე.